

№3-819

15.11.2022

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ზურაბ ჩეკურაშვილს

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

ბატონო ზურაბ,

მადლობას მოგახსენებთ მიმდინარე წლის 10 ნოემბერს მოწოდებული ინფორმაციისათვის (წერილი N 09/10035), რომელიც ეხებოდა სურსათში ვეტპრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევას.

თქვენი წერილის თანხმად, 2020 წელს ზემოაღნიშნულ პარამეტრებზე სეს-მა მხოლოდ თავლის 100 ნიმუში გამოიკვლია. თუმცა, ეს ინფორმაცია არ ემთხვევა სეს-ის მიერ გასულ წელს მოწოდებულ ინფორმაციას (წერილი N 09/4446), რომლის თანახმადაც სეს-მა 2020 წელს იმავე პარამეტრებზე - ცხოველური წარმოშობის სურსათის 409 ნიმუში გამოიკვლია (საქონლის ხორცი, ფრინველის ხორცი, ღორის ხორცი, ბოვრის ხორცი, კვერცხი, რძე) და გამოავლინა დაფსონი, მეტრონიდაზოლი, დიმეტრიდაზოლი, ზერანოლი, მედროქსიპროგესტერონი, მედროქსიპროგესტერონის აცეტატი, ნიტროფურაზონი, ფურაზოლიდონი, ნიტროფურანთონი, ფურალტადონი, პროგესტერონი, ქლორანფენიკოლი.

ეს უკანასკნელი მონაცემები არც სეს-ის ვებსაიტზე გამოქვეყნებულ 2020 წლის მონიტორინგის შედეგებს ემთხვევა (<https://nfa.gov.ge/Ge/StateControl>).

გარდა ამისა, N 09/4446 წერილში მითითებული 2019 წლის მონაცემები არ ემთხვევა სეს-ის ვებსაიტზე გამოქვეყნებულ 2019 წლის მონიტორინგის შედეგებსაც. წერილის თანახმად, 2019 წელს სეს-მა ვეტპრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენ ნივთიერებებზე ცხოველური წარმოშობის სურსათის 1475 ნიმუში შეამოწმა და გამოავლინა ნიტროფურაზონი, დიმეტრიდაზოლი, პროგესტერონი, მეტრონიდაზოლი, ტყვია, ნიტროფურანთონი, ზერანოლი, დაფსონი, ქლორანფენიკოლი. საიტზე გამოქვეყნებულ მონიტორინგის ცხრილში შესული ცხოველური წარმოშობის სურსათის ნიმუშების რაოდენობა გაცილებით მცირეა (კატეგორიები: ნარჩენები, თაფლი, ტყვია).

გთხოვთ დაგვიზუსტოთ, ზემოაღნიშნულიდან რომელი ინფორმაციაა სწორი. თუკი სეს-ის ვებსაიტზე გამოქვეყნებული 2019-2020 წლების მონიტორინგის შედეგები არასრულია, გთხოვთ მოგვაწოდოთ 2019-2020 წლებში სეს-ის მიერ ცხოველური წარმოშობის სურსათში ვეტპრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევის შედეგები, კერძოდ:



მომხმარებელი.გე

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს



- შემოწმებული სურსათის სახელწოდება, მწარმოებლის სახელწოდება და მისამართი, პარტიის ნომერი, ან გამოშვების თარიღი, ან ვარგისიანობის ვადა;
- შემოწმების პარამეტრი;
- ლაბორატორიული დასკვნის თარიღი;
- კონტროლის შედეგი (გამოვლინდა თუ არა დარღვევა; თუ გამოვლინდა, კერძოდ რა დარღვევა).

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang.kobaladze@csrdg.ge.

პატივისცემით,



ვახტანგ კობალაძე

პროგრამის კოორდინატორი